

პროექტი №36

ურბანული განვითარების ობიექტებზე (ტერიტორია და შენობა-ნაგებობები) მზის ენერგეტიკული ზემოქმედების CAD სისტემებთან შეთავსებადი ალგორითმების სისტემის დამუშავება

პროექტის ხელმძღვანელი - ლევან ბერიძე
დაფინანსება – 14000 ლარი

ქალაქგეგმარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ახალი მშენებლობა მჭიდრო განაშენიანების პირობებში. აქ, ჯანმრთელი გარემოს შექმნის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს ინსოლაციის (მზის ზემოქმედება) საკმარისი დონის მიწოდებას ადამიანის მუდმივსამყოფ ადგილებში.

შესწავლილია მსოფლიოში და საქართველოში მოქმედი ნორმატიული პარამეტრები, აგრეთვე ინსოლაციის გაანგარიშების არსებული მეთოდები. ინსოლაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განაშენიანების ოპტიმალური პარამეტრების დასადგენად და გამოყენებითი პაკეტის დასამუშავებლად, წარმოდგენილ ნაშრომში, გამოყენებულია პროფ. ლევან ბერიძის მიერ დამუშავებული ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის გაანგარიშების ორიგინალური ვიზუალურ-სივრცითი მეთოდი, რომელიც წარმოადგენს საფუძველს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის შესადგენად.

ნორმატიული პირობების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ინსოლაციის გაანგარიშების გამოყენებითი პაკეტის ინფორმაციული და მეთოდოლოგიური ბაზა ავტომატიზირებული პროექტირებისა და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიის საფუძველზე. არსებული და პროექტით გათვალისწინებული რესურსებისა და საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებული სამუშაო გეგმის თანახმად, სისტემა მოიცავს ალგორითმების დამუშავებას, რომლებიც რეკომენდებული იქნება სხვადასხვა ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისად. წარმოდგენილი თემატიკა იხილებოდა კონფერენციებზე, არის სათანადო პუბლიკაციები.